სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N3

2021 წლის 27 სექტემბერი

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების მე-40 მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულებისა (შემდგომში - ,,საარჩევნო დებულება“) და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში - ,,ცესკო“) 2021 წლის 17 სექტემბრის ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ N1 განკარგულების (შემდგომში - ,,რეგლამენტი“) შესაბამისად ცესკო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

წინამდებარე განკარგულება შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე		თეა წითლანაძე
კომისიის მდივანი		ზვიად მურადაშვილი

დანართი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

1. დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაციისათვის, რომელიც რეგულირებულია საარჩევნო დებულების შესაბამისად, დამატებით განისაზღვროს რეგისტრაციის შემდეგი საფუძველი:

ა) რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა და უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი.

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ამონაწერი, რომელიც მომზადებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, გაცემული უნდა იყოს ცესკოსათვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში და მასში მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი/პირები.

გ) ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლები.

დ) რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს და უნდა წარუდგინოს მას სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი.

ე) ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლები.

2. ორგანიზაციებმა დამკვირვებლებად რეგისტრაციისათვის საარჩევნო დებულების, რეგლამენტისა და წინამდებარე განკარგულების საფუძველზე წარდგენილ განცხადებაში უნდა აღნიშნონ ფაკულტეტი/ფაკულტეტები ან ყველა დონის საარჩევნო კომისია, სადაც განახორციელებენ დაკვირვებას.
3. დამკვირვებელ ორგანიზაციებს რეგისტრაციის მიზნებისათვის განცხადებით მიმართვა შეუძლიათ როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. მატერიალური სახით ორგანიზაციები განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად

(აუცილებლობის შემთხვევაში) წარადგენენ ცესკოში (მის.: თსუ-ის I კორპუსი, ოთახი N202), ხოლო ელექტრონულად, შემდეგ ელ.ფოსტაზე: cesko@tsu.ge